ადგილწარმოშობის დასახელება: "საირმე"

რეგისტრაციის № 823

რეგისტრაციის თარიღი: 2011.12.21

საქონლის დასახელება რომლისთვისაც მოითხოვება ადგილწარმოშობის რეგისტრაცია:

კლასი 32 _ ნატურალური მინერალური წყალი.

განმცხადებლის დასახელება და მისამართი:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მარშალ გელოვანის გამზ. №6, 0159 თბილისი (GE)

განსაკუთრებული თვისებები:

ქიმიური შემადგენლობის მიხედვით საირმის მინერალური წყლები წარმოდგენილია სამი ჯგუფით, რომელთა მიხედვითაც განხორციელდა მარაგების შეფასება და დამტკიცება.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება №№ 1, 3ა, 8 (ჭაბ. №27) წყაროებისა და №68 ჭაბურღილის ნახშირმჟავა, კაჟმჟავა, დაბალმინერალიზებული (2,4-4 გ/ლ), ჰიდროკარბონატულ ნატრიუმ-კალციუმიანი ცივი წყლები და წყარო "ნამარნევი" (სილამაზის წყარო), რომელიც ხასიათდება დაბალი მინერალი-ზაციით (1,2-1,4 გ/ლ) და დარიშხანის შემცველობით (0,7-1,0 მგ/ლ).

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება №3ბ და №7 (ჭაბ. №56) წყაროების ნახშირმჟავა, კაჟმჟავა, დაბალმინე-რალიზებული (3-5,6), ჰიდროკარბონატულ ნატრიუმ-კალციუმიანი ცივი წყლები.

მესამე ჯგუფს მიეკუთვნება №4 და №5 (წყარო №2) ჭაბურღილების ნახშირმჟავა, კაჟმჟავა, საშუალო მინერალიზაციის (8-10,5 გ/ლ) ჰიდროკარბონატულ ნატრიუმიანი ცივი წყლები.

ქიმიური შემადგენლობა:

$$CO_2M_{3,5}\frac{HCO_3\,80CL16SO_4\,3}{Na\,65Ca\,19Mg\,15}T12°C$$

გეოგრაფიული ადგილის მდებარეობის აღწერა:

საირმის მინერალური წყლების წარმოშობის ადგილია კურორტ საირმის ტერიტორია, ის ადგილი, სადაც ისტორიულად ცნობილი იყო მათი გამოსავლები.

საირმის მინერალური წყლის საბადო მდებარეობს იმერეთის რეგიონში, ბაღდათის რაიონში, რაიონული ცენტრიდან სამხრეთ-დასავლეთით 27 კმ-ში. აჭარა-იმერეთის (მესხეთის) ქედის ჩრდილო ფერდზე და მოიცავს წაბლარას წყლის ზემო წელის აუზს. ჩრდილო განედის 41°54´ და აღმოსავლეთ გრძედის 42°44´ კოორდინატებზე, მდ. წაბლარას წყლის ორივე ნაპირზე.

საბადო მდებარეობს მდ. წაბლარას წყალსა და მისი მარჯვენა შენაკადის, მდ. ნამარნევის შეერთების უბანში და მთლიანად მოიცავს კურორტ საირმის ტერიტორიას.

საირმის ჰიდრომინერალური მეურნეობა წარმოდგენილია ოთხი წყაროთი (№№ 1, 3ა, 3ბ და "ნამარნევი") და ხუთი ჭაბურღილით (№4 №5 (წყარო №2), № 56 (წყარო №7), №27 (წყარო №8) და №68. საბადოს ტერიტორიაზე განვითარებულია შუაეოცენური მასიური ტუფები და ტუფქვიშაქვები, რომლებითაც აგებულია განედური მიმართების საირმის ანტიკლინი.

ბაღდათის მუნიციპალიტეტი,
სოფელი საირმე
N
ბაღდათი
საირმე
პირობითი აღნიშვნები
გზა
დასახლებული პუნქტი
რაიონული ცენტრი
ბერიკაძეების საზღვარი
რაიონის საზღვარი
მასშტაბი 1:200,000